

## ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამაგისტრო პროგრამა

**სპეციალობა :** ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია.

**პროგრამის მოცულობა კრედიტებში:** 120  
კრედიტი.

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მაგისტრი.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე სპეციალობაში გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ, აგრეთვე უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 52<sup>1</sup>-ე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ პირებს, მხოლოდ სპეციალობაში გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ.

**სწავლების ენა:** ქართული.

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია** მოამზადოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე, ღრმა თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნაზე დამყარებული კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრები ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მიმართულებით, რომელსაც ექნება ცოდნა, უნარ-ჩვევები და გამოცდილება დაფუძნებული სფეროს თანამედროვე თეორიულ, პრაქტიკულ და კვლევით კომპონენტებზე, შეეძლება კომპეტენტურად წარმართოს სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობა ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში.

**სწავლის შედეგები - კურსდამთავრებულს ეცოდინება:** სიღრმისეულ და სისტემურ დონეზე ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის თანამედროვე მიდგომები, სტრატეგიები, ტექნიკური საშუალებები და ინოვაციური მეთოდები, სარეაბილიტაციო ღონისძიებების განსაზღვრა, სპორტსმენთა და არასპორტსმენთა ჯანმრთელობის, ფიზიკური განვითარებისა და ფუნქციური შესაძლებლობების განვითარების კანონზომიერებები; სპორტსმენთა ტრავმული დაზიანებების დროს პირველადი გადაუდებელი დახმარების მეთოდები, ტრავმული დაზიანებების მიმდინარეობის თავისებურებები, ტრავმის შემდგომ პერიოდში ფიზიკური მეთოდებით რეაბილიტაციის პრინციპები; ტრავმული დაზიანებების შესაძლო გართულებები და მათი პრევენცია.

**კურსდამთავრებულს შეეძლება:** სხვადასხვა დაავადებების, დაზიანებებისა და ტრავმების დროს სამედიცინო რეაბილიტაციის ტაქტიკის შერჩევა; უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, სპორტის სახეობებისა და სარეაბილიტაციო ვადების მიხედვით, ინდივიდუალური სარეაბილიტაციო და სპეციალური სავარჯიშო ღონისძიებების განსაზღვრა და წარმატებით განხორციელება; სამკურნალო-სარეაბილიტაციო საშუალებების დროული და უსაფრთხო გამოყენება. რთული, არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის გაკეთება; სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება.

**ცოდნის შეფასების სისტემა:** შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, 60 ქულა - შუალედური შეფასებები, 40 ქულა დასკვნითი გამოცდა. შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 21 ქულით. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 14 ქულით.

**შეფასების სისტემა უშვებს:**

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ( A ) ფრიადი –მაქსიმალური შეფასების 91% –100%;
- ( B ) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 %;
- ( C ) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 %;
- ( D ) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- ( E ) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 %;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა– მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით:**

- ა) ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი (91-100 ქულა);
- ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება (81-90 ქულა);
- გ) კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება (71-80 ქულა);
- დ) საშუალო (*bene*) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს (61-70 ქულა);
- ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს (51-60 ქულა);
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficient*) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო (41-50 ქულა);
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს (0-40 ქულა).

სამაგისტრო ნაშრომი მაგისტრანტს შესრულებულად ჩაეთვლება, თუ შეფასებისას დააგროვებს 51 და მეტ ქულას.

სამაგისტრო ნაშრომის 41-50 ქულით შეფასების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომის წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.

სამაგისტრო ნაშრომის 0-40 კულით შეფასების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას. მას ენიჭება უფლება შეარჩიოს ახალი თემა და ხელმძღვანელი და სამაგისტრო ნაშრომი დაიცვას კომისიის წინაშე შემდეგ სასწავლო წელს.